საქართველოში რეპროდუქციული ჯანმრთელობის არასრული ინტეგრირება პირველადი ჯანდაცვის დონეზე

მნიშვნელოვანია პირველადი ჯანდაცვის როლი რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების ინტეგრირებაში. საქართველოში, რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების მართვა არ არის საკმარისად კოორდინირებული, რაც იწვევს მათ არაეფექტიან გამოყენებას და ხარჯების ზრდას.

გამოწვევები:

რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების არასრული ინტეგრირება პირველადი ჯანდაცვის დონეზე	საქართველოში რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების მიწოდება ფრაგმენტულ ხასიათს ატარებენ და არასაკმარისად არიან ინტეგრირებული პირველადი ჯანდაცვასთან. მკაფიოდ არ არის განსაზღვრული ოჯახის ექიმის როლი რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების მართვაში.
პირველადი ჯანდაცვის რგოლსა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მიმწოდებლებს შორის უკუკავშირის არარსებობა	რეპროდუქციული ჯანმრთელობის მიმწოდებლებსა და პირველადი ჯანდაცვის რგოლს შორის უკუკავშირის არარსებობა ეწინააღმდეგება პირველადი ჯანდაცვის არსს. ოჯახის ექიმებს ნაკლები ინფორმაცია აქვთ პაციენტებზე რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების გაწევის შედეგად მისი მდგომარეობის გაუმჯობესების ან გაუარესების შესახებ. შესაბამისად, არ ხდება პაციენტის რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე ოჯახის ექიმის უწყვეტი მეთვალყურეობა, ანუ მისი სრულყოფილი მართვა.
რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების შესახებ მოსახლეობის დაბალი განათლება	ოჯახის ექიმი ნაკლებად არის ჩართული რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირების პროცესში, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ჯანდაცვის ხარჯებს

რეკომენდაციები:

1. განხორციელდეს რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების ინტეგრირება პირველადი ჯანდაცვის დონეზე;
2. განხორციელდეს რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების შესახებ ინფორმაციის გაზიარება ოჯახის ექიმსა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების მიმწოდებლებს შორის;
3. უზრუნველყოფილ იქნას რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების მიმწოდებლებსა და პირველადი ჯანდაცვის რგოლს შორის ეფექტური კომუნიკაციის დამყარება.

წყარო:

- ასოციაცია „ჰერა ოცდაერთი“, 2021წ, „პირველადი ჯანდაცვა საქართველოში, სისტემის ანალიზი და რეკომენდაციები რეალური ცვლილებებისთვის“.

  http://hera-youth.ge/wp-content/uploads/2021/03/Pirveladi-Jandacva.pdf